ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №406863

ნომერი: AR187349

თარიღი : 22.10.2012

გაცემის თარიღი : 26.10.2012

გაცნობის თარიღი : 26.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 მრტის №94066 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 22 ოქტომბერს №AR187349 განცხადებით მომართა შპს "მეტრა გურპ ჯორგია"–ს წარმომადგენელმა ალექსანდრე ჯობავამ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 26 მარტის №94066 ბრძანებაში მათ მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურს 2012 წლის 26 მარტის №94066 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.20.004.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსები №1, 2, 3) მშენებლობის კორექტირებული არქტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა კორპუსი №1-სთვის 2012 წლის 27 მარტიდან 2012 წლის 27 ივნისის ჩათვლით; კორპუსი №2-სთვის 2012 წლის 27 მარტიდან 2013 წლის 27 მარტის ჩათვლით; კორპუსი №3-სთვის 2012 წლის 27 მარტიდან 2014 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში მათ მიერ დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ველში "საერთო ფართობი (კვ.მ)" ნაცვლად 15767,8–ისა მიუთითეს 15631,6 კვ.მ. ასევე გამორჩენილია 3209,2 კვ.მ. დამხმარე ფართობი.
სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ მატ მიერ დაშვებული იქნა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომა, შესაბამისად მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების განხორციელება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 26 მარტის №94066 ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართად 15631,6 კვ.მ-ის ნაცვლად მიეთითოს 15767,8 კვ.მ, ხოლო დახმარე ფართად მიეთითოს 3209,2 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 26 მარტის №94066 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.